საქართველოს მთავრობის

დადგენილება №112

2018 წლის 6 მარტი

ქ. თბილისი

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ

მუხლი 1

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, დამტკიცდეს თანდართული „საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დებულება“.

მუხლი 2

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ძალადაკარგულად გამოცხადდეს:

1. „საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 23 დეკემბრის №572 დადგენილება.
2. „საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 28 დეკემბრის №485 დადგენილება.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს 2018 წლის 15 მარტიდან.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს

დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო (შემდგომში – სამინისტრო) არის საქართველოს კონსტიტუციისა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნილი აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულება, რომელიც მისთვის მინდობილ სფეროში სახელმწიფო მმართველობისა და სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების უზრუნველსაყოფად ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებებს.

2. თავისი ამოცანების განხორციელებისას სამინისტრო წარმოადგენს სახელმწიფოს.

3. სამინისტროს მმართველობის სფერო განისაზღვრება სამინისტროს დებულებით.

4. სამინისტრო ეფუძნება ერთმმართველობის პრინციპს, თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

5. სამინისტროს უფლებამოსილება განისაზღვრება კანონით ან/და კანონის საფუძველზე მიღებული მთავრობის დადგენილებით. სამინისტროს უფლება არა აქვს, სხვა სახელმწიფო ან არასახელმწიფო დაწესებულებებს გადასცეს თავისი უფლება-მოვალეობანი, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

6. სამინისტრო ანგარიშვალდებულია საქართველოს მთავრობის წინაშე და ასრულებს კანონით გათვალისწინებულ ან საქართველოს მთავრობისა და საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ კანონის საფუძველზე დაკისრებულ ამოცანებს.

7. სამინისტროს აქვს დებულება, დასრულებული ბალანსი და ანგარიში ხაზინაში, ხარჯთაღრიცხვა და ბეჭედი სახელმწიფო გერბის გამოსახულებით.

8. სამინისტრო ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან. იგი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ანგარიშვალდებულია საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივ გამოყენებაზე.

9. სამინისტროს შეიძლება ჰქონდეს ემბლემა. სამინისტროს ემბლემა შეიძლება გამოყენებულ იქნეს სამინისტროს თანამდებობის პირთა და მოხელეთა სავიზიტო ბარათებზე, სამინისტროს ბეჭდვით გამოცემებსა და სუვენირებზე.

10. სამინისტროს იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი №34; საფოსტო ინდექსი – 0159.

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 26 ივნისის დადგენილება №234 – ვებგვერდი, 27.06.2023წ.

მუხლი 2. სამინისტროს მმართველობის სფერო და ამოცანები

1. სამინისტროს მმართველობის სფეროს განეკუთვნება გარემოს დაცვის, სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სფეროების მართვა და განვითარების ხელშეწყობა.

2. სამინისტროს მმართველობის სფეროს ფარგლებში სამინისტროს ძირითადი ამოცანებია:

ა) გარემოს დაცვის, სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება;

ბ) ბუნებრივი რესურსებით (გარდა სასარგებლო წიაღისეულის, ნავთობისა და გაზისა) სარგებლობის სფეროში სახელმწიფო მართვა და სახელმწიფო კონტროლის განხორციელება;

გ) ქვეყანაში მდგრადი განვითარებისა და მწვანე ეკონომიკის პრინციპების დანერგვის ხელშეწყობა;

დ) გარემოს დაბინძურების მონიტორინგის ორგანიზება;

ე) საქართველოს ტერიტორიაზე, მდინარეთა აუზებსა და წყალსატევებში, შავი ზღვის ტერიტორიულ წყლებში, კონტინენტურ შელფზე და განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში არსებული და მოსალოდნელი ჰიდრომეტეოროლოგიური და გეოდინამიკური პროცესების, გეოეკოლოგიური მდგომარეობის შეფასებისა და გარემოს მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მომზადება;

ვ) ატმოსფერული ჰაერის დაცვის, წყლისა და მიწის რესურსების მართვისა და დაცვის და კლიმატის ცვლილების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება;

ზ) ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება;

თ) გარემოში რადიაციული ფონის მონიტორინგი;

ი) დაცული ტერიტორიების სისტემის დაფუძნების, ფუნქციონირებისა და მართვის სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება, მოქმედებათა კოორდინირება და კონტროლი;

კ) ბიომრავალფეროვნების დაცვის, ნადირობის, თევზჭერისა და სატყეო სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება, მისი შესრულების მონიტორინგი, აგრეთვე ბიოლოგიური მრავალფეროვნების მონიტორინგი;

ლ) ცხოველთა სამყაროს ობიექტების გარემოდან ამოღების რეგულირება და მონიტორინგი;

მ) გენმოდიფიცირებული ორგანიზმების სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება და ამ სფეროში საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულებაზე სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელება;

ნ) გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სფეროებში სტრატეგიული დოკუმენტების მომზადება და განხორციელება/განხორციელების ხელშეწყობა;

ო) გარემოსდაცვითი შეფასების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება;

პ) გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურების ორგანიზება და განხორციელება, კომპეტენციის ფარგლებში, სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასებისა და გარემოზე ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების შეფასების პროცესში მონაწილეობა, მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღება;

ჟ) წინადადებათა შემუშავება საგანგებო ეკოლოგიური მდგომარეობის ან ეკოლოგიური უბედურების ზონების გამოცხადებისა და მათი გაუქმების შესახებ;

რ) საქართველოს ტერიტორიაზე ოზონდამშლელი ნივთიერებებისა და ფტორირებული გაზების რეგულირება;

ს) კომპეტენციის ფარგლებში, ნარჩენებისა და ქიმიური ნივთიერებების მართვის ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება;

ტ) კომპეტენციის ფარგლებში, ბუნებრივი და ანთროპოგენური საფრთხეებისა და რისკების პროგნოზირების, მათი შედეგების შერბილების ღონისძიებების დაგეგმვა და გარემოსდაცვითი უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით ერთიანი პოლიტიკის განხორციელება;

უ) კომპეტენციის ფარგლებში, მიწის რაციონალურად გამოყენებისა და დაცვის უზრუნველყოფა, ნიადაგის დეგრადაციასთან ბრძოლის ღონისძიებების დაგეგმვა, დეგრადირებული ფართობების აღდგენის ღონისძიებების განხილვა/შეთანხმება;

ფ) აგროსასურსათო, აგროგადამამუშავებელი, მემცენარეობის, მეცხოველეობის (მ.შ., მეთევზეობის), აგროსაინჟინრო, მცენარეთა დაცვის და ვეტერინარიის დარგების მართვა და განვითარების ხელშეწყობა;

ქ) ქვეყანაში აგრარული რეფორმების განხორციელება ქვეყნის ტრადიციებისა და საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით;

ღ) ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის განვითარების ხელშეწყობა;

ყ) ქვეყანაში სოფლის მეურნეობის პირველადი პროდუქციის გადამუშავებისა და სასურსათო პროდუქციის წარმოების ხელშეწყობა;

შ) აგროსასურსათო სექტორში შემოსავლების ზრდისა და სურსათის უვნებლობის უზრუნველყოფისათვის ხელშეწყობა სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების პრინციპების გათვალისწინებით;

ჩ) ქვეყანაში ბიოაგროწარმოების განვითარების ხელშეწყობა;

ც) სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და სურსათის წარმოებაში/რეალიზაციაში საუკეთესო პრაქტიკის/გამოცდილების გავრცელების ხელშეწყობა;

ძ) შიდა და გარე ბაზრების მდგომარეობისა და ტენდენციების შესახებ ინფორმაციის მოპოვება და ანალიზი;

წ) სოფლის მეურნეობის დარგში დასაქმებული მეურნე სუბიექტების სამეცნიერო-საკონსულტაციო მომსახურების, პროფესიული ცოდნის დაუფლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ორგანიზებისათვის ხელშეწყობა;

ჭ) კომპეტენციის ფარგლებში, საერთაშორისო ურთიერთობის განვითარებისათვის ხელშეწყობა, თანამშრომლობის პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა და საერთაშორისო პროგრამების მართვა;

ხ) მწარმოებელთა და მომხმარებელთა ინტერესების ჰარმონიზაციის ხელშეწყობა;

ჯ) კომპეტენციის ფარგლებში, საბაზრო ინფრასტრუქტურის ფორმირებისათვის ხელშეწყობა;

ჰ) აგრარულ სფეროში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელება;

ჰ[1]) პესტიციდების, აგროქიმიკატების, ცხოველის ან/და მცენარის ახალი ჯიშების გამოცდის ორგანიზება და რეგისტრაცია, კომპეტენციის ფარგლებში;

ჰ[2]) ქვეყნის ტერიტორიის დაცვა სასოფლო-სამეურნეო კარანტინის ობიექტების შემოღწევისაგან;

ჰ[3]) სოფლად სოციალური ჩართულობის, სიღარიბის შემცირებისა და ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა;

ჰ[4]) კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ამოცანების შესრულება, კომპეტენციის ფარგლებში.

მუხლი 3. სამინისტროს ხელმძღვანელობა

1. სამინისტროს ხელმძღვანელობს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი (შემდგომში – მინისტრი), რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი.

2. მინისტრს ჰყავს 5 მოადგილე (მათ შორის, ერთი – პირველი), რომელთაც მინისტრის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი.

3. მინისტრის პირველი მოადგილისა და მოადგილეების უფლებამოსილებანი და კომპეტენციის სფერო განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით.

4. მინისტრის დავალებით, მინისტრის ერთ-ერთი მოადგილე ახორციელებს საპარლამენტო მდივნის ფუნქციას.

5. მინისტრის პირველი მოადგილე ხელმძღვანელობს სამინისტროს საქმიანობას და კოორდინაციას უწევს სამინისტროს სისტემაში შემავალი და მართვაში არსებული სუბიექტების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საქმიანობას მინისტრის არყოფნისას.

6. მინისტრის პირველი მოადგილე/მოადგილე შეიძლება იმავდროულად იყოს სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების ან საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელი.

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 13 აგვისტოს დადგენილება №417 - ვებგვერდი, 17.08.2018წ.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 29 მარტის დადგენილება №165 – ვებგვერდი, 29.03.2019წ.

მუხლი 4. მინისტრის უფლება-მოვალეობანი

1. მინისტრი:

ა) ხელმძღვანელობს სამინისტროს, წარმართავს მის საქმიანობას და წყვეტს სამინისტროს გამგებლობის სფეროსთვის მიკუთვნებულ საკითხებს;

ბ) პასუხისმგებელია საქართველოს კონსტიტუციის, სხვა კანონების, საქართველოს პრეზიდენტის ნორმატიული აქტების, მთავრობის დადგენილებებისა და განკარგულებების, აგრეთვე პრემიერ-მინისტრის ბრძანებების შესრულებაზე;

გ) თვალყურს ადევნებს სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების, საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ თავიანთი მოვალეობების შესრულების მიმდინარეობას და, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ახორციელებს სამსახურებრივ ზედამხედველობას სამინისტროს საჯარო მოსამსახურეთა გადაწყვეტილებებსა და საქმიანობაზე;

დ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სამინისტროს საშტატო ნუსხით განსაზღვრულ მოხელეებს, მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების, საჯარო სამართლის იურიდიული პირების ხელმძღვანელებს,

გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ადმინისტრაციული ხელშეკრულებით ან შრომითი ხელშეკრულებით სამსახურში იღებს სხვა საჯარო მოსამსახურეებს;

ე) კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში, იღებს გადაწყვეტილებას სამინისტროს საჯარო მოსამსახურეების, აგრეთვე სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების ხელმძღვანელებისათვის სახელფასო დანამატის გაცემის თაობაზე; კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში, გასცემს ფულად ჯილდოს ამავე პირებზე;

ვ) კანონმდებლობით დადგენილი წესით, ამტკიცებს სამინისტროს სტრუქტურული ერთეულების, სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების დებულებებს;

ზ) პრემიერ-მინისტრს წარუდგენს წინადადებას სამინისტროს წლიური ბიუჯეტის შემოსავლისა და გასავლის საკითხებსა და აუცილებლობის შემთხვევაში – დამატებითი ბიუჯეტის პროექტზე, იღებს გადაწყვეტილებებს საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივი გამოყენების შესახებ და პასუხისმგებელია ბიუჯეტის ზუსტად და მიზანშეწონილად შესრულებაზე;

თ) სახელმწიფო ბიუჯეტის შესაბამისად, ამტკიცებს სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების ხარჯთაღრიცხვას, ახორციელებს კონტროლს მის შესრულებაზე და, აუცილებლობის შემთხვევაში, იძლევა მითითებებს საბიუჯეტო სახსრების გამოყენების შესახებ;

ი) ადგენს სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების სტრუქტურასა და საქმისწარმოების წესს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ისინი დადგენილია მინისტრის ბრძანების ზემდგომი სამართლებრივი აქტებით;

კ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, გამოსცემს ნორმატიულ და ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს;

ლ) ამტკიცებს ბიოლოგიური მრავალფეროვნების მონიტორინგის ერთიანი სისტემის ინდიკატორებს, მათი აღწერის მეთოდოლოგიებსა და წარმოების წესს;

მ) ამტკიცებს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმისა და ინსპექტირების აქტის ფორმებს;

ნ) ამტკიცებს სალიცენზიო და სანებართვო მოწმობების ფორმებს;

ო) ამტკიცებს სამინისტროში სტაჟირების გავლის წესს;

პ) პრემიერ-მინისტრს წარუდგენს ანგარიშს სამინისტროს საქმიანობის შესახებ;

ჟ) მონაწილეობს მთავრობის სხდომებში;

რ) პასუხისმგებელია სახელმწიფო ქონების დაცვასა და გამოყენებაზე და ორგანიზებას უწევს ამ საქმიანობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ს) ასრულებს კანონებით, საქართველოს პრეზიდენტის ნორმატიული აქტებით, მთავრობის დადგენილებებითა და განკარგულებებით, აგრეთვე პრემიერ-მინისტრის ბრძანებებით მისთვის დაკისრებულ სხვა ამოცანებს.

2. თუ სამინისტროს გამგებლობის სფეროს მიკუთვნებული საკითხი ეხება აგრეთვე სხვა სამინისტროს, მინისტრი გადაწყვეტილებას ათანხმებს შესაბამის მინისტრთან. თანხმობის მიუღწევლობის შემთხვევაში, საკითხი განიხილება საქართველოს მთავრობის სხდომაზე.

3. მინისტრი უფლებამოსილია, თავისი ბრძანებით შექმნას კომისიები, საბჭოები და სამუშაო ჯგუფები და განსაზღვროს მათი მოვალეობანი და საქმიანობის წესი. საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მაისის დადგენილება №227 – ვებგვერდი, 16.05.2019წ.

მუხლი 5. სამინისტროს სისტემა

სამინისტროს სისტემაში შედის:

ა) სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფები, რომელთა ერთიანობა ქმნის სამინისტროს ცენტრალურ აპარატს;

ბ) (ამოღებულია - 15.05.2019, №227).

გ) სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება;

დ) საჯარო სამართლისა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები, რომელთა სახელმწიფო კონტროლს ან/და დამფუძნებლის უფლებამოსილებასაც ახორციელებს სამინისტრო. საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მაისის დადგენილება №227 – ვებგვერდი, 16.05.2019წ.

მუხლი 6. ცენტრალური აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფები

სამინისტროს ცენტრალური აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფებია:

ა) სურსათის პოლიტიკის დეპარტამენტი;

ა[1]) სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების პოლიტიკის დეპარტამენტი;

ბ) გარემოსა და კლიმატის ცვლილების დეპარტამენტი;

გ) (ამოღებულია - 25.12.2023, №517);

დ) ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტი;

ე) (ამოღებულია - 15.05.2019, №227);

ვ) იურიდიული დეპარტამენტი;

ზ) ჰიდრომელიორაციისა და მიწის მართვის დეპარტამენტი;

თ) საერთაშორისო ურთიერთობებისა და ევროინტეგრაციის დეპარტამენტი;

ი) ნარჩენებისა და ქიმიური ნივთიერებების მართვის დეპარტამენტი;

კ) სტრატეგიული კომუნიკაციის დეპარტამენტი;

ლ) ადმინისტრაციული დეპარტამენტი;

მ) საფინანსო დეპარტამენტი;

ნ) შიდა აუდიტის დეპარტამენტი;

ო) (ამოღებულია - 13.01.2021, №7);

პ) (ამოღებულია - 19.04.2022, №208);

ჟ) ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტი.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მაისის დადგენილება №227 – ვებგვერდი, 16.05.2019წ.

საქართველოს მთავრობის 2021 წლის 13 იანვრის დადგენილება №7 – ვებგვერდი, 14.01.2021წ.

საქართველოს მთავრობის 2021 წლის 11 მარტის დადგენილება №100 – ვებგვერდი, 12.03.2021წ.

საქართველოს მთავრობის 2021 წლის 28 აპრილის დადგენილება №194 – ვებგვერდი, 04.05.2021წ.

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 19 აპრილის დადგენილება №208 – ვებგვერდი, 20.04.2022წ.

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 22 მარტის დადგენილება №119 – ვებგვერდი, 24.03.2023წ.

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 25 დეკემბრის დადგენილება №517 – ვებგვერდი, 26.12.2023წ.

მუხლი 7. სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება

სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებაა გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი.

მუხლი 8. სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლისა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები

1.სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირებია:

ა) დაცული ტერიტორიების სააგენტო;

ბ) გარემოს ეროვნული სააგენტო;

გ) ეროვნული სატყეო სააგენტო;

დ) გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი;

ე) ველური ბუნების ეროვნული სააგენტო;

ვ) ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტო;

ზ) სურსათის ეროვნული სააგენტო;

თ) ღვინის ეროვნული სააგენტო;

ი) (ამოღებულია - 14.01.2020, №26);

კ) სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი;

ლ) სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორია;

მ) მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტო.

2. სამინისტროს სისტემაში შემავალი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირია – სოფლის განვითარების სააგენტო.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 თებერვლის დადგენილება №83 – ვებგვერდი,18.02.2019წ.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 2 ივლისის დადგენილება №301 - ვებგვერდი, 04.07.2019წ.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 14 იანვრის დადგენილება №26 – ვებგვერდი, 15.01.2020წ.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 22 იანვრის დადგენილება №50 – ვებგვერდი, 24.01.2020წ.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 17 სექტემბრის დადგენილება №580 – ვებგვერდი, 18.09.2020წ.

მუხლი 9. ცენტრალური აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფების ძირითადი ამოცანები

სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების ძირითადი ამოცანებია:

1. სურსათის პოლიტიკის დეპარტამენტის:

ა) ქვეყანაში სურსათის ინდუსტრიის, სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში, კომპეტენციის ფარგლებში, პოლიტიკის შემუშავება/ შემუშავებაში მონაწილეობის მიღება და განხორციელება და/ან განხორციელებაში მონაწილეობის მიღება;

ბ) სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროში სამართლებრივი ბაზის ჩამოყალიბებისა და სრულყოფის მიზნით, ნორმატიული აქტების პროექტების შემუშავება ან/და შემუშავებაში მონაწილეობის მიღება;

გ) სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროში პროგრამების, პროექტების შემუშავება ან/და შემუშავებაში მონაწილეობის მიღება და, საჭიროების შემთხვევაში, განხორციელებაში მონაწილეობის მიღება;

დ) სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში, ქვეყნის მიერ აღებული ვალდებულებების (SPS, კომპეტენციის ფარგლებში, და სხვ.) შესრულების მიზნით, წინადადებების მომზადება ან/და მომზადებაში მონაწილეობის მიღება, მისი განხორციელება ან/და განხორციელებაში მონაწილეობის მიღება;

ე) შესაბამისობის შეფასების სისტემის სრულყოფის მიზნით, ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო და სურსათის ლაბორატორიული სექტორის მდგრადი განვითარების ხელშეწყობა;

ვ) გასტროტურიზმის პოლიტიკის შემუშავებაში მონაწილეობის მიღება;

ზ) კომპეტენციის ფარგლებში, სურსათის დარგობრივი ტექნიკური რეგლამენტების პროექტების შემუშავება/შემუშავებაში მონაწილეობის მიღება, სურსათის ინდუსტრიის მარეგულირებელი სამართლებრივი ბაზის ჩამოყალიბებისა და სრულყოფის მიზნით, ნორმატიული აქტების პროექტების მომზადება ან/და მათ მომზადებაში მონაწილეობის მიღება;

თ) ქვეყანაში სურსათთან დაკავშირებული ხარისხის სქემების პოლიტიკის შემუშავება და განვითარება, პოლიტიკის შემუშავებაში მონაწილეობის მიღება, განხორციელება ან/და განხორციელებაში მონაწილეობის მიღება. პროდუქტის ბრენდინგისა და საერთაშორისო პრაქტიკის ხელშეწყობა, მათი დაცვის სამართლებრივი მექანიზმების შემუშავება და სრულყოფა;

ი) სურსათის ინდუსტრიისა და ვაჭრობის სფეროებში, ეროვნული კანონმდებლობით განსაზღვრული და საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ხელშეწყობის მიზნით, კომპეტენციის ფარგლებში, წინადადებების მომზადება

ან/და მომზადებაში მონაწილეობის მიღება, მისი განხორციელება ან/და განხორციელებაში მონაწილეობის მიღება;

კ) კომპეტენციის ფარგლებში ბავშვთა კვებისთვის განკუთვნილი, ასევე ფორტიფიცირებულ სურსათთან დაკავშირებული პოლიტიკის შემუშავებაში მონაწილეობის მიღება, განხორციელება ან/და განხორციელებაში მონაწილეობის მიღება;

ლ) ვაჭრობის განვითარებისა და ხელშეწყობის მიზნით, კომპეტენციის ფარგლებში, სხვადასხვა სამინისტროებსა და უწყებებთან თანამშრომლობა;

მ) კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებათა განხორციელება.

1[1]. სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების პოლიტიკის დეპარტამენტის:

ა) სამინისტროს სისტემაში შემავალი სტრუქტურული ერთეულების ან/და უწყებების მიერ წარდგენილი წინადადებების ანალიზის საფუძველზე, სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სტრატეგიისა (შემდგომში – სტრატეგია) და შესაბამისი სამოქმედო გეგმის (შემდგომში – სამოქმედო გეგმა) შემუშავების კოორდინაცია;

ბ) სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ან/და შეფასების კოორდინაცია, დადგენილი ფორმით მონიტორინგის ანგარიშის მომზადება და უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოსთვის წარდგენა;

გ) სოფლის მეურნეობის ან/და სოფლის განვითარების პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრაში მონაწილეობა და მათი განხორციელების ხელშეწყობა;

დ) სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში, სოფლისა და სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებულ საკითხებზე სხვადასხვა სახელმწიფო უწყების შესაბამისი სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავებაში მონაწილეობის მიღება, ასევე, დადგენილი წესით, ამ სამოქმედო გეგმებით გათვალისწინებული პროგრამების მონიტორინგის ანგარიშების მომზადება და შესაბამისი უწყებებისთვის გაგზავნა;

ე) დარგში არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით, ანალიტიკური საქმიანობის განხორციელება;

ვ) აგროსასურსათო პროდუქციის წარმოების, ექსპორტ-იმპორტის, მოხმარების, სარეალიზაციო ფასების შესახებ ინფორმაციის მოპოვება და დამუშავება. ყოველთვიური, კვარტალური და წლიური ანგარიშების მომზადება;

ზ) კომპეტენციის ფარგლებში, საერთაშორისო სავაჭრო/ეკონომიკური ხასიათის მთავრობათაშორისი ხელშეკრულებების პროექტების შემუშავებასა და მოლაპარაკების პროცესში მონაწილეობის მიღება, შესაბამის სახელმწიფო უწყებებსა და სამინისტროს სტრუქტურულ ერთეულებთან ან/და უწყებებთან თანამშრომლობით;

თ) წინასწარ შერჩეული აგროსასურსათო პროდუქციისთვის არსებული სტატისტიკური მონაცემების გამოყენებით ბაზრის ანალიზის განხორციელება. პროდუქციის წარმოების, საექსპორტო პოტენციალის, საერთაშორისო ბაზარზე არსებული ტენდენციებისა და სხვა მონაცემების ანალიზი;

ი) სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების პოლიტიკის საკითხებზე სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფა, კომუნიკაცია და კოორდინაცია;

კ) სოფლის განვითარების ეროვნული ქსელის კოორდინაცია;

ლ) ტერიტორიაზე დაფუძნებული (ქვევიდან ზევით მიდგომა) სოფლის განვითარების პოლიტიკის კოორდინაცია;

მ) მეცხოველეობის, მემცენარეობის, აკვაკულტურის დარგების განვითარების მიზნით, პროგრამების/წინადადებების შემუშავება;

ნ) სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების მიზნით, პროგრამების/წინადადებების შემუშავება;

ო) კომპეტენციის ფარგლებში, სამართლებრივი აქტების პროექტების შემუშავება/შემუშავებაში მონაწილეობის მიღება;

პ) კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.

2. გარემოსა და კლიმატის ცვლილების დეპარტამენტის:

ა) საქართველოს მთელ ტერიტორიაზე წყლის რესურსების მართვის, ატმოსფერული ჰაერის დაცვისა და კლიმატის ცვლილების სფეროებში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში მონაწილეობის მიღება;

ბ) კომპეტენციის ფარგლებში, გარემოს მონიტორინგის სახელმწიფო სისტემის ორგანიზებაში მონაწილეობა;

გ) ატმოსფერული ჰაერის, ოზონის შრისა და წყლის რესურსების ბუნებრივი თუ ანთროპოგენური ფაქტორების ზემოქმედებისგან დაცვის მექანიზმების განსაზღვრა და განხორციელების კოორდინაცია;

დ) გარემოს დაცვის სფეროში მრავალმხრივი ხელშეკრულებების (კონვენციები, მათი ოქმები და შეთანხმებები) და გლობალური/რეგიონული პროცესების კოორდინაცია; ახალი მრავალმხრივი გარემოსდაცვითი ხელშეკრულებების გაფორმების მიზანშეწონილობის განსაზღვრაში მონაწილეობა და ეროვნულ დონეზე მათი სავალდებულოდ აღიარებისათვის საჭირო მოსამზადებელ პროცედურულ ღონისძიებათა ორგანიზება;

ე) მრავალმხრივი გარემოსდაცვითი ხელშეკრულებების განმახორციელებელ მექანიზმებთან თანამშრომლობა და ეროვნული პასუხისმგებელი/საკონტაქტო პირების საქმიანობის კოორდინაცია;

ვ) გარემოს დაცვის მოქმედებათა ეროვნული პროგრამისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმის შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების კოორდინაცია. დადგენილი ფორმით მონიტორინგის ანგარიშის მომზადება და სამინისტროს ხელმძღვანელობისთვის წარდგენა;

ზ) სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში, გარემოსა და კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ საკითხებზე სხვადასხვა სახელმწიფო უწყების შესაბამისი სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავებაში მონაწილეობის მიღება, ასევე, დადგენილი წესით, ამ სამოქმედო გეგმებით გათვალისწინებული პროგრამების მონიტორინგის ანგარიშების მომზადება და შესაბამისი უწყებებისთვის გაგზავნა;

თ) გარემოსდაცვითი პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრაში მონაწილეობა და მათი განხორციელების ხელშეწყობა;

ი) კომპეტენციის ფარგლებში, ქვეყანაში მდგრადი განვითარებისა და მწვანე ეკონომიკის პრინციპების დანერგვის ხელშეწყობა;

კ) გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების მომზადების კოორდინირება და ორგანიზება;

ლ) გარემოსდაცვითი პროექტების ინიციირების მიზანშეწონილობის განსაზღვრაში მონაწილეობა;

მ) საქართველოს ტერიტორიაზე ოზონდამშლელი ნივთიერებებისა და ფტორირებული გაზების მართვის კოორდინაცია, მათ შორის, „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“ მონრეალის 1987 წლის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებებით საერთაშორისო ვაჭრობის რეგულირება/ ადმინისტრირება;

ნ) კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.

3. (ამოღებულია - 25.12.2023, №517);

4. ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტის:

ა) კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ბიომრავალფეროვნების კომპონენტების დაცვისა და შენარჩუნების, ბიოლოგიური რესურსების მართვისა და რეგულირების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება, საერთაშორისო ქსელში ჩართული დაცული ტერიტორიების შექმნის, მართვისა და მონიტორინგის პროცესის კოორდინაცია;

ბ) დაცული ტერიტორიებისა და ტყეების მართვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და მისი განხორციელების კოორდინაცია/ხელშეწყობა;

გ) საქართველოს ბიომრავალფეროვნების დაცვის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის, ასევე სატყეო სტრატეგიებისა და ეროვნული სატყეო პროგრამის შემუშავებისა და განხორციელების კოორდინაცია;

დ) გარეულ ცხოველთა რაოდენობის რეგულირება, მათი რესურსებით სარგებლობის რეგულირების პროცესში რესურსის მოპოვების მეთოდების განსაზღვრა და კვოტების დადგენაში მონაწილეობა, სამეცნიერო-კვლევითი მიზნით, ცხოველთა სამყაროს ობიექტების გარემოდან ამოღების რეგულირება;

ე) „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ (CITES) კონვენციის დანართებში შეტანილი სახეობების ნიმუშებით საერთაშორისო ვაჭრობის რეგულირება/ადმინისტრირება;

ვ) ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის სახელმწიფო სისტემის ორგანიზება და კოორდინაცია;

ზ) სატყეო სფეროში სახელმწიფო რეფორმების განხორციელებისათვის წინადადებების მომზადება, ტყის სტატუსის მინიჭებისა და შეწყვეტის მიზანშეწონილობის საკითხების განხილვა;

თ) კომპეტენციის ფარგლებში, გენმოდიფიცირებული ორგანიზმის გამოყენების რეგულირების კოორდინაცია და საერთო ორგანიზაციული უზრუნველყოფა;

ი) კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.

5. (ამოღებულია - 15.05.2019, №227);

6. იურიდიული დეპარტამენტის:

ა) სამინისტროს ცენტრალური აპარატისა და სისტემის საქმიანობის სამართლებრივი უზრუნველყოფის ხელშეწყობა;

ბ) სამინისტროს კანონშემოქმედებითი საქმიანობის კოორდინაცია; კომპეტენციის ფარგლებში, შესაბამისი საკანონმდებლო ნორმატიული აქტების პროექტების მომზადება ან მომზადებული კანონპროექტების სამართლებრივი ექსპერტიზა;

გ) კანონშემოქმედებით სფეროში პარლამენტისა და სამინისტროს ურთიერთობის კოორდინაცია და საპარლამენტო მდივნისათვის „საპარლამენტო მდივნის შესახებ“ საქართველოს კანონით მინიჭებულ უფლებამოსილებათა განხორციელებაში ხელშეწყობა;

დ) მთავრობათაშორისი და უწყებათაშორისი საერთაშორისო ხელშეკრულებების პროექტების სამართლებრივი ექსპერტიზა;

ე) სამინისტროსა და მის სისტემაში შემავალი დაწესებულებების მიერ მომზადებული საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების პროექტების საქართველოს მთავრობასა და საქართველოს პარლამენტში წარდგენის უზრუნველყოფის კოორდინაცია;

ვ) ნორმატიული ან/და ინდივიდუალური სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება ან/და სამართლებრივი ექსპერტიზა/ვიზირება (გარდა მივლინებასთან ან შვებულებასთან დაკავშირებული პროექტებისა);

ზ) კომპეტენციის ფარგლებში, განცხადებების, საჩივრებისა და წერილების განხილვა;

თ) მინისტრის მიერ მიღებული ნორმატიული აქტების საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში რეგისტრაციისა და გამოქვეყნების უზრუნველყოფა;

ი) სამინისტროს წარმომადგენლობა ყველა ინსტანციის სასამართლოში;

კ) კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.

7. ჰიდრომელიორაციისა და მიწის მართვის დეპარტამენტის:

ა) ჰიდრომელიორაციის დარგის პოლიტიკის შემუშავება და მისი განხორციელების მონიტორინგი;

ბ) ჰიდრომელიორაციის დარგის მართვის გაუმჯობესების მიზნით ღონისძიებათა დაგეგმვა და მისი განხორციელების კოორდინირება;

გ) კომპეტენციის ფარგლებში, სასოფლო-სამეურნეო მიწის მართვის პოლიტიკის შემუშავება და მისი განხორციელების მონიტორინგი;

დ) სასოფლო-სამეურნეო მიწის მართვის გაუმჯობესების მიზნით ღონისძიებათა დაგეგმვა და მისი განხორციელების კოორდინირება;

ე) საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მიწის რესურსების მდგრადი მართვისა და დაცვის სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში მონაწილეობის მიღება;

ვ) მიწის რესურსების ბუნებრივი თუ ანთროპოგენული ფაქტორების ზემოქმედებისგან დაცვის მექანიზმების განსაზღვრა და განხორციელების კოორდინაცია;

ზ) გაუდაბნოების, მიწის დეგრადაციის პროცესის შერბილების ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელების კოორდინაცია ეროვნულ დონეზე;

თ) ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მართვის რეგულირება და კოორდინაცია;

ი) კომპეტენციის ფარგლებში, წინადადებების, რეკომენდაციებისა და ნორმატიული დოკუმენტების მომზადება;

კ) კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.

8. საერთაშორისო ურთიერთობებისა და ევროინტეგრაციის დეპარტამენტის:

ა) სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობების წარმართვა უცხოეთის სახელმწიფოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან;

ბ) სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში, საერთაშორისო ხელშეკრულებების პროექტების მომზადების, შესაბამისი მოლაპარაკებების გამართვისა და ხელშეკრულებათა ხელმოწერის პროცესის კოორდინაცია;

გ) მთავრობათაშორის კომისიებში სამინისტროს ჩართულობის უზრუნველყოფა, კომისიის ოქმის პროექტის მომზადებაში მონაწილეობა, ოქმის შესრულების მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მომზადება;

დ) ორმხრივი და მრავალმხრივი ურთიერთობების ფორმატის შეხვედრებისა და ვიზიტებისათვის საჭირო სასაუბრო და ანალიტიკური მასალების მომზადება;

ე) შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციებთან კოორდინაციის უზრუნველყოფა და თანამშრომლობის საკითხების რეგულირება, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სფეროებში მომუშავე დონორებსა და განმახორციელებელ პარტნიორებთან ერთად ახალი პროექტების შემუშავებაში მონაწილეობა სამინისტროს სისტემაში შემავალი სტრუქტურული ერთეულების საჭიროებებისა და ევროინტეგრაციის, აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციებსა და საზღვარგარეთის ქვეყნებთან განსაზღვრული თანამშრომლობის პრიორიტეტების გათვალისწინებით;

ვ) კომპეტენციის ფარგლებში, საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ დასკვნების მომზადება. ორმხრივი გარემოსდაცვითი ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების კოორდინირება და მონიტორინგი. დონორი ორგანიზაციის მიერ დაფინანსებული პროექტების შესრულების შესახებ ანგარიშების მომზადება და სამინისტროს ხელმძღვანელობისთვის წარდგენა, აგრეთვე პროექტებით გათვალისწინებული აქტივობების შესრულების პროგრესის მონიტორინგი;

ზ) ქართული პროდუქციის საერთაშორისო ბაზრებზე დამკვიდრების მხარდამჭერი წინადადებების შემუშავებაში მონაწილეობა. კომპეტენციის ფარგლებში, ეროვნული და საერთაშორისო ღონისძიებების (სემინარები, კონფერენციები, მინისტერიალები და სხვა) დაგეგმვა, განხორციელება ან/და კოორდინაცია;

თ) სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში, საერთაშორისო ურთიერთობებისა და ევროინტეგრაციის პროცესის, აგრეთვე დონორებთან ურთიერთობების შეთანხმებულად განხორციელების მიზნით, სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფების საერთაშორისო ხელშეკრულებების ეროვნული პასუხისმგებელი/საკონტაქტო პირებისგან შესაბამისი ინფორმაცის მოთხოვნა და მიღება;

ი) სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის სფეროებში ევროკავშირის მიერ დაგეგმილი, მიმდინარე და დასრულებული პროექტებისა და პროგრამების შესახებ ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება და განახლება;

კ) სამინისტროს სისტემაში შემავალი სტრუქტურული ერთეულებისა და დაწესებულებების საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით არსებული საკითხების კოორდინაცია და მონიტორინგი;

ლ) გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სფეროების მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოციირების შესახებ შეთანხმებით განსაზღვრულ ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების უზრუნველყოფა;

მ) ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესში განსაზღვრული ვალდებულებების, მათ შორის, ასოციირების შესახებ შეთანხმებისა და ასოციირების დღის წესრიგის განხორციელების ეროვნული სამოქმედო გეგმების შედგენისა და ვალდებულებების შესრულების თაობაზე ანგარიშგების უზრუნველყოფის მიზნით, სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და სისტემაში შემავალი უწყებების საქმიანობის კოორდინაცია;

ნ) ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოციირების შესახებ შეთანხმების იმპლემენტაციის მიზნით შექმნილ სამთავრობო საკოორდინაციო მექანიზმში მონაწილეობა;

ო) ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოციირების შესახებ შეთანხმებით განსაზღვრულ ევროკავშირის სამართლებრივ აქტებთან საქართველოს კანონმდებლობის დაახლოების მიზნით, სამინისტროს კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე სხვადასხვა უწყების მიერ შემუშავებული ნორმატიული აქტების პროექტებისა და თანმდევი დოკუმენტების განხილვა და დასკვნის მომზადება;

პ) გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სფეროებში ევროინტეგრაციის მიმართულებით, აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციებსა და საზღვარგარეთის ქვეყნებთან თანამშრომლობის პრიორიტეტების განსაზღვრაში მონაწილეობა და მოთხოვნათა შესრულების ხელშეწყობა, მათ შორის, „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ინიციატივის ფარგლებში;

ჟ) საკანონმდებლო დაახლოების ფარგლებში შემუშავებული საქართველოს ნორმატიული აქტების პროექტების ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენის მიზნით შესაბამისობის ცხრილების მომზადება;

რ) საქართველოს მიერ ენერგეტიკული გაერთიანების წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით სამინისტროს საქმიანობის კოორდინაცია;

ს) სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში ევროპული ინტეგრაციის საკითხების თაობაზე წინადადებების შემუშავება;

ტ) კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.

9. ნარჩენებისა და ქიმიური ნივთიერებების მართვის დეპარტამენტის:

ა) კომპეტენციის ფარგლებში, ნარჩენებისა და ქიმიური ნივთიერებების მართვის ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება;

ბ) ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგიების, ეროვნული გეგმების შემუშავება და მათი განხორციელების კოორდინაცია;

გ) კომპეტენციის ფარგლებში, ნარჩენებისა და ქიმიური ნივთიერებების რეგულირება, სახელმწიფო აღრიცხვა-ანგარიშგება, მონაცემთა ბაზის წარმოება;

დ) კომპეტენციის ფარგლებში, ნარჩენებისა და ქიმიური ნივთიერებების მართვის სფეროში საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით განსაზღვრული ვალდებულებების განხორციელება;

ე) ნარჩენებისა და ქიმიური ნივთიერებების მართვის სფეროში გარემოსდაცვითი ღონისძიებების პრიორიტეტულ მიმართულებათა განსაზღვრა და მათი შესრულების კოორდინაცია;

ვ) კომპეტენციის ფარგლებში, ნარჩენებისა და ქიმიური ნივთიერებების მართვის სფეროში სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების შემუშავება და მათი შესრულების კოორდინაცია;

ზ) სახიფათო და სპეციფიკური ნარჩენების მართვის კოორდინაცია;

თ) ნარჩენების პრევენციის, სეპარირების, წინასწარი დამუშავების, ხელახალი გამოყენებისა და რეციკლირების ხელშეწყობა;

ი) ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული საქმიანობების რეგისტრაციის წარმოება;

კ) კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.

10. სტრატეგიული კომუნიკაციის დეპარტამენტის:

ა) სამინისტროს საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა;

ბ) საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება და ამ მიზნებით სამინისტროს დანაყოფებიდან შესაბამისი ინფორმაციის გამოთხოვა და შესრულების მონიტორინგი, საუკეთესო საერთაშორისო

გამოცდილების გათვალისწინებით, სისტემის გამჭვირვალობისა და საჯაროობის უზრუნველყოფა;

გ) სამინისტროში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებული ოფიციალური შეტყობინებების, განცხადებებისა და სხვა საინფორმაციო მასალების მომზადება და მათი მასობრივი საინფორმაციო საშუალებებისათვის მიწოდება;

დ) სამინისტროში მიმდინარე და დაგეგმილი პროექტებისა და ღონისძიებების საინფორმაციო კამპანიის დაგეგმვა და განხორციელება;

ე) კომპეტენციის ფარგლებში, სახელმწიფო დაწესებულებებთან, არასამთავრობო და სხვადასხვა კერძო ორგანიზაციასთან ურთიერთობა;

ვ) სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურების კოორდინირებული საქმიანობის უზრუნველყოფა;

ზ) სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირებისაგან ყველა საჭირო ინფორმაციის მოპოვება;

თ) სამინისტროს მიერ ორგანიზებული ღონისძიებებისა და მიღებულ გადაწყვეტილებათა შესახებ მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ინფორმირება;

ი) სამინისტროს ოფიციალური ვებგვერდისა და სოციალური ქსელის ადმინისტრირება;

კ) კომპეტენციის ფარგლებში, ინტერვიუების, ბრიფინგების, პრესკონფერენციებისა და საჯარო შეხვედრების დაგეგმვასა და ორგანიზებაში მონაწილეობა.

11. ადმინისტრაციული დეპარტამენტის:

ა) სამინისტროს საქმიანობის ადმინისტრაციული და ორგანიზაციული საქმიანობის უზრუნველყოფა;

ბ) მინისტრთან ჩასატარებელი თათბირების, კომისიებისა და საბჭოების სხდომების ორგანიზება და ოქმების შედგენა;

გ) პროტოკოლით გათვალისწინებულ ღონისძიებათა განხორციელება;

დ) სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვისა და სამობილიზაციო გეგმის მომზადება;

ე) სამინისტროსათვის გადაცემული სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების მართვის ორგანიზება;

ვ) სამინისტროს ცენტრალური აპარატის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის განსაზღვრა, დაგეგმვა, განხორციელება. თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად, ადამიანური რესურსების მართვის ოპტიმიზაციის მიზნით რეკომენდაციების შემუშავება;

ზ) სამინისტროს მოსამსახურეთა პირადი საქმეების წარმოება, მონაცემთა ბაზის შექმნა და სისტემატიზაცია;

თ) კომპეტენციის ფარგლებში, სამინისტროს ცენტრალური აპარატის საჯარო მოხელეთა დანიშვნის, გათავისუფლების, დისციპლინური პასუხისმგებლობის შეფარდების, წახალისების, შვებულების, მივლინების, დროებითი ფუნქციების დაკისრებისა და გადაყვანის შესახებ ბრძანებების პროექტებისა და შრომითი/ადმინისტრაციული ხელშეკრულებების მომზადება;

ი) წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების/ინდიკატორების შესაბამისად, თანამშრომელთა შეფასებისა და მოტივაციის ასამაღლებელი სისტემების შემუშავება, დანერგვა, პერიოდული განახლება;

კ) კომპეტენციის ფარგლებში, სამინისტროში არსებული ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად კანდიდატურის შერჩევისათვის კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება;

ლ) სამინისტროში ოფიციალურად შემოსული და გასული კორესპონდენციის რეგისტრაცია, აღრიცხვა და სისტემატიზაცია. საქმისწარმოების უზრუნველყოფა;

მ) საიდუმლო საქმისწარმოების განხორციელება. მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შესაბამის ინფორმაციასა და დოკუმენტაციასთან დაკავშირებით საიდუმლო რეჟიმის დაცვის უზრუნველყოფა;

ნ) სამინისტროს არქივის მუშაობის ორგანიზება;

ო) სამინისტროს ცენტრალური აპარატის საქმიანობის უზრუნველსაყოფად, სათანადო მატერიალურტექნიკური პირობების შექმნა;

პ) შრომის უსაფრთხოების რისკებისა და საფრთხეების შეფასების კონტროლი;

ჟ) კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.

12. საფინანსო დეპარტამენტის:

ა) საფინანსო-საბიუჯეტო საქმიანობის წარმართვა, სამინისტროს ერთიანი ბიუჯეტის პროექტის შემუშავება;

ბ) სამინისტროსათვის გამოყოფილი თანხის მიზნობრივი ათვისების უზრუნველყოფა, საბიუჯეტო დაფინანსების სისტემური ანალიზი;

გ) პროგრამებისა და პროექტების დაფინანსების პირობების სრულყოფა;

დ) სამინისტროს ცენტრალური აპარატის საბუღალტრო აღრიცხვის წარმოება;

ე) სამინისტროს სისტემის დაწესებულებათა მიერ წარდგენილი კვარტალური და წლიური ანგარიშების სისწორის კონტროლი, ნაერთი ფინანსური ანგარიშგების მომზადება, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და სხვა ორგანიზაციათა წინაშე სავალდებულო ანგარიშგება;

ვ) სამინისტროსა და მისი სისტემის დაწესებულებათა საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების წარმოების ერთიანი მეთოდოლოგიური საფუძვლების უზრუნველყოფა;

ზ) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვების განხორციელება;

თ) ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტიდან გამომდინარე, სამინისტროს სისტემაში შემავალ დაწესებულებებსა და სამინისტროს სტრუქტურულ ქვედანაყოფებთან კოორდინაციით სამინისტროს საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის მომზადება;

ი) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა უფლება-მოვალეობათა განხორციელება.

13. შიდა აუდიტის დეპარტამენტის:

ა) სამინისტროს წინაშე არსებული რისკების დადგენა და მათი მართვის ხარისხის შეფასება;

ბ) ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ადეკვატურობისა და ეფექტიანობის შეფასება;

გ) კანონმდებლობით დადგენილი წესით, შიდა აუდიტის წლიური და სტრატეგიული გეგმების შემუშავება;

დ) შიდა აუდიტორული შემოწმების განხორციელება;

ე) სამინისტროს საქმიანობის საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის შეფასება/მონიტორინგი;

ვ) სამინისტროს საქმიანობის ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის გაზრდის მიზნით რეკომენდაციების შემუშავება;

ზ) ფინანსური და სხვა ინფორმაციის სანდოობის, სიზუსტისა და სისრულის შეფასება;

თ) სამინისტროს აქტივების, სხვა რესურსებისა და ინფორმაციის ადეკვატურად დაცულობის შეფასება;

ი) სამსახურებრივი გადაცდომის ან/და დაწესებულების მიზნებთან შეუსაბამო ქმედების არსებობის შემოწმება და მისი აღმოჩენის მიზნით განხორციელებული სამსახურებრივი შემოწმების შემდეგი ღონისძიებები:

ი[1]) სამინისტროს სისტემაში კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვისა და შესრულების კონტროლის განხორციელება, მოსალოდნელი დარღვევების ან/და ხარვეზების ანალიზი და მათი პრევენცია;

ი[2]) სამინისტროს სისტემაში თანამშრომელთა მიერ სამსახურებრივი გადაცდომის ფაქტების სამსახურებრივი შემოწმების ჩატარება, შემოწმების შესახებ დასკვნის შედგენა და ხელმძღვანელობისათვის წარდგენა;

ი[3]) სამინისტროს სისტემის თანამშრომელთა მიერ კანონმდებლობის დარღვევის ფაქტების ხელშემწყობი მიზეზების დადგენისა და პრევენციის, სამინისტროს სისტემაში აღმოჩენილი ხარვეზებისა და მათი გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრის მიზნით მინისტრისათვის შესაბამისი რეკომენდაციების მიწოდება;

ი[4]) სამინისტროს სისტემის თანამშრომელთა მიერ სამსახურებრივი ეთიკის ნორმების შესრულების კონტროლი;

კ) აუდიტორული და სამსახურებრივი შემოწმების შედეგად დანაშაულის ნიშნების აღმოჩენის შემთხვევაში, შესაბამისი რეაგირებისათვის ინფორმაციის მინისტრისათვის მიწოდება;

ლ) სხვა საქმიანობა, რომელიც გამომდინარეობს სამინისტროს ინტერესებიდან და არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას, „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებსა და აუდიტორის დამოუკიდებლობის პრინციპებს.

14. (ამოღებულია - 13.01.2021, №7).

15. (ამოღებულია - 19.04.2022, №208).

16. ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის:

ა) სამინისტროსათვის ერთიანი ინფორმაციული ტექნოლოგიური პოლიტიკის შემუშავება და მისი დანერგვის უზრუნველყოფა სამინისტროს ცენტრალურ აპარატსა და სისტემაში შემავალ უწყებებში;

ბ) ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფა;

გ) სამინისტროს საჭიროებებიდან გამომდინარე, ტექნიკური და კომპიუტერული მოწყობილობების ახალი ინოვაციური მოწყობილობებით ჩანაცვლება და მათზე მონიტორინგის წარმოების უზრუნველყოფა;

დ) სამინისტროში არსებული კომპიუტერული ქსელის სისტემების ადმინისტრირებისა და მართვის უზრუნველყოფა, ამასთან, მისი შიდა და გარე ქსელური პერიმეტრის დაცვა;

ე) მოქალაქეთა და ინვესტორთათვის სამინისტროს მიერ დაგეგმილ ღონისძიებებსა და პროექტებთან დაკავშირებით ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

ვ) არსებული სერვისების მხარდაჭერისა და ახალი ინოვაციური მომსახურების დანერგვის, მონაცემთა უწყვეტობისა და მათი უსაფრთხოების უზრუნველყოფა;

ზ) ერთიანი, ცენტრალური მონაცემთა ბაზების შექმნა და შესაბამისი ანგარიშგების უზრუნველყოფა;

თ) სერვისების კატალოგების შექმნა და მათზე წვდომის დონეების მართვა;

ი) ტექნიკური მხარდაჭერის უზრუნველყოფა.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მაისის დადგენილება №227 – ვებგვერდი, 16.05.2019წ.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 14 იანვრის დადგენილება №26 – ვებგვერდი, 15.01.2020წ.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 22 იანვრის დადგენილება №50 – ვებგვერდი, 24.01.2020წ.

საქართველოს მთავრობის 2021 წლის 13 იანვრის დადგენილება №7 – ვებგვერდი, 14.01.2021წ.

საქართველოს მთავრობის 2021 წლის 11 მარტის დადგენილება №100 – ვებგვერდი, 12.03.2021წ.

საქართველოს მთავრობის 2021 წლის 28 აპრილის დადგენილება №194 – ვებგვერდი, 04.05.2021წ.

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 19 აპრილის დადგენილება №208 – ვებგვერდი, 20.04.2022წ.

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 22 მარტის დადგენილება №119 – ვებგვერდი, 24.03.2023წ.

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 25 დეკემბრის დადგენილება №517 – ვებგვერდი, 26.12.2023წ.

მუხლი 10. (ამოღებულია)

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მაისის დადგენილება №227 – ვებგვერდი, 16.05.2019წ.

მუხლი 11. სამინისტროს ქონება

სამინისტროს ქონებას შეადგენს კანონმდებლობით დადგენილი წესით მის სარგებლობაში გადაცემული ძირითადი და საბრუნავი საშუალებები, საფინანსო რესურსები, აგრეთვე სამინისტროს ბალანსზე/სარგებლობაში რიცხული ქონება.

მუხლი 12. სხვა დებულებანი

სამინისტროს რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.